

დამტკიცებულია

საქართველოს საავტორო უფლებათა ასოციაციის მიერ

ძალაშია 2015 წლის 01 აგვისტოდან

განაკვეთები (ტარიფები)

საავტორო უფლებით დაცული სახვითი ხელოვნებისა და ფოტოგრაფიული ნაწარმოების ორიგინალის პირველადი გასხვისების შემდეგ მისი ყოველი მომდევნო გაყიდვისთვის

გამონაგარიშების მეთოდი	განაკვეთი
ნაწარმოების გასაყიდი ფასი: 500 ლარიდან 100 000 ლარამდე	გასაყიდი ფასის 4%
ნაწარმოების გასაყიდი ფასი: 100 000.01 ლარიდან 400 000 ლარამდე	4 000 ლარს + 100 000.01 ლარს ზემოთ თანხის 1%
ნაწარმოების გასაყიდი ფასი: 400 000.01 ლარიდან 700 000 ლარამდე	13 000 ლარს + 400 000.01 ლარს ზემოთ თანხის 1%
ნაწარმოების გასაყიდი ფასი: 700 000.01 ლარიდან 1 000 000 ლარამდე	16 000 ლარს + 700 000.01 ლარს ზემოთ თანხის 0.5%
ნაწარმოების გასაყიდი ფასი: 1 000 000 ლარზე მეტი	17 500 ლარს + 1 000 000 ლარს ზემოთ თანხის 0.25%

- გასაყიდი ფასი, ამ განაკვეთების მიზნებისათვის განიმარტება როგორც ნაწარმოების გასაყიდი ღირებულება დღგ-ს ჩათვლით
- დადგენილი გადასახდელი ჰონორარი (გადასახდების გადახდის გარეშე) არ უნდა აღემატებოდეს 25 000 ლარს
- ამ განაკვეთის მიზნებისათვის, სახვითი ხელოვნების ან ფოტოგრაფიული ნაწარმოების ორიგინალს უთანაბრდება ავტორის მიერ ან მისი ნებართვით შეზღუდული რაოდენობით დამზადებული ორიგინალის ასლები
- განაკვეთები ვრცელდება პროფესიონალი შუამავლების (სამხატვრო სალონი, სახვითი ხელოვნების გალერეა და სხვა) მეშვეობით ნაწარმოების გაყიდვის შემთხვევაზე და ჰონორარის გადახდის ვალდებულება ეკისრება ნაწარმოების გამყიდველს
- განაკვეთები შეიცავს დღგ-ს

გიგა კობალაძე

გამგეობის თავმჯდომარე